

# კომუნისტი

# სსიპი

1990  
 თებერვალი  
 №15 (6242)  
 ზეირთლი  
 ღანთი 6 კპ.  
 გაზეთი ღარსლა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპროტოკოლო ნომერი 10/1990  
 КМУНИЗМН СХИВИ орган Цагерского райко ма КИ Грузии в райсовета народных депутатов

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის უწყვეტი სესიები

81 ინანბარს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საქართველოს ალკ კენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომუნისტური კომიტეტისა და სარეგიონო კომისიის შემადგენლობაში, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

- რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს კომუნისტური პარტიის ამოცანები;
- საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი;
- საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით;
- საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის მოწვევა.
- მოსხენება ამ საკითხებზე გააკეთა საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. გუმბარიძე.
- მოსხენების გამო გაიმართა კამათი.
- პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ბ. ბ. გუმბარიძე.
- პლენუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ. დადგენილება იწონებს დებულებებს, შეფასებებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს მოსხენება საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან, თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბებთან და რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში მომხდარ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით. დადგენილება

ბაში ნოქვამია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის, მისი არჩევითი ორგანოებისა და სტრუქტურული ქვეგანყოფილების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა უწყვეტთვის როდი შეესაბამებოდა და დღესაც მთლად არ შეესაბამება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, დინამიკურად რომ ვითარდება რესპუბლიკაში; პარტიული კომიტეტების, მათი კომისიებისა და აპარატის მუშაობის სტილი, საბჭოთა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტიული ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების ფორმები და მეტოდები სერიოზულად უნდა გადაიხინჯოს.

პლენუმმა მოიწონა გამართული საუბრითაო განხილვის შედეგების მიხედვით დახვეწილი საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია და დაავალა საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ასახოს მასში პლენუმზე გამოთქმული წინადადებანი, დამატებანი და დაუსტებანი. კონცეფციის ტექსტი გამოქვეყნდება.

პლენუმმა მოიწონა საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის განცხადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე გამოქვეყნდება.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა მოიწვიონ ვადადე — 1990 წლის აპრილში. ყრილობის დღის წესრიგში, დგას შემდეგი საკითხები:

- საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ;
- საქართველოს კომუნისტური პარტიის სტატუსი;
- საქართველოს კომუნისტური პარტიის სარეგიონო კომისიის ანგარიში;
- საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და დეპუტატების არჩევნები.

პლენუმმა შექმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის მოსამზადებელი კომისია.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ნ. ა. ფოფხაძე საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის ო. ე. ჩერქეზიას სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა იგი საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან ვ. მ. სირაძე, რომელიც გაათავისუფლებულია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან პენსიაზე გადასვლის გამო.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან ა. გ. ჩხეხევი, რომელიც გაათავისუფლებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის სახალხო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გადაუვანილია სხვა სამუშაოზე. პლენუმმა გაათავისუფლა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სახელმწიფო ოლქის ჭარბის ყოფილი სარდლი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდინოვი საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან და ფარული კენჭისყრით გამოიყენა იგი ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანა მ. ბ. გუმბარიძე. იგი არჩეულია საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის მდივანად და ბიუროს წევრად.

პლენუმმა დაამტკიცა ნ. რ. საჭაბიძე საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგედ.

საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის აგრარული განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა დ. თ. საპანაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მუშაობისა და საკადრო მუშაობის განყოფილების სექტორის გამგე მ. ი. რომანოვი.

## გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე ჯემალ დავითის ძე სალინაძე, დაბადებული 1940 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკ წევრი, ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შრომითმა კოლექტივმა წამოაყენა საქართველოს სსრ

უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

საპარტიო ცენტრალური კომიტეტის საგამომდებლო ნაწილის უფროსის მოადგილე ვენედი გიორგის ძე ბენიძე, დაბადებული 1950

წელს, უმაღლესი განათლებით, სკკ წევრი, ზუბის საბჭო სკოლის შრომითმა კოლექტივმა წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

## საინფორმაციო სვარგი

ორბაღის კოლმეურნეობის მშრომლებმა, წლის პირველხვე თვეში საიმედო საფუძველი შექმნეს იმისათვის, რომ ხუთწილედ დაამთავრებულ წელს წარმატებით შეასრულონ ხორცის და რძის სახელმწიფო-

სათვის მიყიდვის საგემო დავალები.

პირველი თებერვლისათვის კოლმეურნეობამ წარმატებით გაანაღდა ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა, ნაცვლად ერთი

ტონისა სახელმწიფოს საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეურნეობებიდან 1,1 ტონა ხორცი მიყვიადა.

აქაურ მშრომლებს განადღებული აქვთ ასევე რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის იანვრის გეგმა.

## ლენინის სახალხო ფრონტის კონფერენცია

80 ინანბარს ქ. ცაგერში გაიმართა ლენინის სახალხო ფრონტის კონფერენცია.

კონფერენციამ განიხილა ლენინის სახალხო ფრონტის წესდების პროექტი და მიიღო იგი ზოგიერთი შესწორებით.

მიღებულ იქნა აგრეთვე ლენინის სახალხო ფრონტის პროგრამა.

კონფერენციამ აირჩია ლენინის სახალხო ფრონტისაგან საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში 29 წევრი.

განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

კონფერენციამ სახალხო ფრონტის გამგეობიდან გამოიყვანა ა. სალინაძე და მ. მურცხვალაძე,

რომლებიც ამჟამად სწავლას აგრძელებენ თბილისში. კონფერენციამ დააკმაყოფილა აგრეთვე მერაბ მუკვანის თხოვნა გამგეობის წევრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

ლენინის სახალხო ფრონტის გამგეობის წევრად არჩეულ იქნენ ალპანის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჯონი გოლეთიანი, ალპანის საშუალო სკოლის პედაგოგი დარეჯან ჩორგოლიანი, ცაგერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორის მოადგილე ნინო მუშუელიანი.

ლენინის სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარედ კონფერენციამ აირჩია გიორგი ჭიაძე.





